შიმონ პერესის სიტყვა

მოამზადა ლევან ახვლედიანმა

დავალება:

1. დაკვირვებით გაეცანით „შიმონ პერესის სიტყვას ...“.
2. დაკვირვებით გაეცანით სტრატეგიას - ორი სვეტი შენიშვნებისთვის.
3. გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული სტრატეგია და მასში მოცემული ინსტრუქციის მიხედვით გააანალიზეთ „შიმონ პერესის სიტყვა ...“.

,,შიმონ პერესის სიტყვები, რომელმაც სამყარო შეძრა“, ასე უწოდეს 92 წლის ებრაელი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის, ისრაელის მე-9-ე პრეზიდენტის შიმონ პერესის გამოსვლას კიევში 13 სექტემბერს...

უკრაინის მედიით გავრცელებულ ამ გამოსვლის შინაარსს ,**,თაიმერი“** საკუთარ მკითხველს სთავაზობს... დარწმუნებული ვართ, ქართველ მკითხველსაც შეძრავს შიმონ პერესის სიტყვა...

,,ჩვენ ვოცნებობდით ჩვენს მიწაზე, მაგრამ მიწა, რომელიც ჩვენ გვერგო არ იყო საოცნებო. ეს იყო რაღაც პატარა ნაგლეჯი მიწისა... ახლო აღმოსავლეთის ერთი მეათასედი ნაწილი. ეს მიწა ჩვენ კარგად არ გვეპყრობოდა... იქ იყო ჭაობები, კოღოები; სამხრეთში - უდაბნო და ქვები... არჩევანი კოღოებსა და ქვებს შორის იყო. იქ ორი ტბა იყო – ერთი მკვდარი და მეორე მომაკვდავი. იყო განთქმული მდინარე, თუმცა მასში წყალი არ იყო... წყალი სრულებით არ იყო[1]. არანაირი ბუნებრივი რესურსი არ არსებობდა – არც ოქრო და არც ნავთობი... მაშინ ასეთი გამოთქმა იყო ,,ახლო აღმოსავლეთში არსებობს ქვეყნების ორი ტიპი: ნავთობის ქვეყნები და წმინდა ქვეყნები,, ჩვენი ქვეყანა კი – აბსოლუტურად წმინდა იყო... რამეთუ არაფერი არ ჰქონდა.

ჩვენ მარტოდმარტო ვიყავით. ჩვენ არ გვყავდა არც რელიგიური ძმები, არც ერთენოვანი დები და არც ისტორიული მეზობლები. ეს ყველაფერი ხდებოდა ჰოლოკოსტის შემდგომ... ჩვენ იქ მივედით და არ ვიცოდით რა გვექნა... ნამდვილად არ ვიცოდით.

და ჩვენ მოვიფიქრეთ: ბუნების ყველაზე დიდი სიმდიდრე – ეს არის ადამიანი. ადამიანები ამდიდრებენ მიწას და არა მიწა ადამიანებს.

[1] იგულისხმება მდინარე იორდანე.

ჩვენ გავხდით სწავლულები. ყოველმა ფერმერმა ისრაელის და ყოველმა გლეხმა დაიწყო ფიქრი, თუ როგორ განევითარებინა სოფლის მეურნეობა წყლისა და მიწის გარეშე... და ჩვენ განვავითარეთ ის. ეს იყო პირველი სოფლის მეურნეობა მსოფლიოში, რომელიც ჰაი-ტექზე (მაღალ ტექნოლოგიაზე, რედ.) დაფუძნდა. მე თვითონ მაშინ აგრარული უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი და ჩვენ ვცდილობდით ჩაგვეტარებინა ირიგაცია... ცხელი წყლით ვრწყავდით ხეებს და გვეგონა რომ ისინი ასე უკეთ გაიზრდებოდნენ. ჩვენდა გასაოცრად, გაირკვა, რომ სოფლის მეურნეობა არა მხოლოდ ნიადაგზე, არამედ ჰაი-ტექზე დაფუძნებულიც მუშაობს. დღეს ჩვენ საკმარისი წყალი გვაქვს... წყალს ჩვეულებრივად პოულობენ და არა მოიპოვებენ... ჩვენ კი მისი მოპოვება დავიწყეთ... და ჩვენ წინ წავედით. ჩვენ წყლის გამტკნარებაც ვისწავლეთ. ჩვენ ვეძებდით ბოსტნეულს, რომელიც ცოტა წყალს სვამს და დავიწყეთ სელექცია. აი თქვენ ნამდვილი საიდუმლო: მომავლისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა ის, რაც თქვენ აღმოაჩინეთ... არამედ ის, რასაც თქვენ აწარმოებთ.

ჩვენ არც ხალხი გვყავდა და არც იარაღი გვქონდა... ჩვენ არასდროს არ გვიომია. ჩვენ სულ 450 ათასი კაცი ვიყავით და არც გენერლები გვყავდა და არც საბრძოლო გამოცდილება გვქონდა. გაერომ გადაწყვიტა, შეექმნა სახელმწიფო ისრაელი, მაგრამ ფაქტიურად ომი მიდიოდა... რა უნდა გვექნა? ორი რამ...

პირველი – ადამიანები უნდა გამხდარიყვნენ მამაცები და უშიშარნი. მათ უნდა გაეგოთ, რომ ჩვენ არჩევანი არ გვაქვს... ჩვენ მხოლოდ უნდა გავიმარჯვოთ. ჩვენ ერთხელაც რომ დავმარცხდეთ... მორჩა.

მეორე – იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენ იარაღი არ გვქონდა... ჩვენ მისი წარმოება უნდა დაგვიწყო. ჩვენ დავიწყეთ არმიის სრულყოფა და მოგვიწია განგვევითარებინა IT-სექტორი, რომელიც არმიაზე მუშაობდა... რამეთუ ვიყავით მარტონი და მტრულ გარემოცვაში.

რატომ გიყვებით ყველაფერ ამას? დღემდე ახალგაზრდა გოგო-ბიჭებს ვეუბნები: მეგობრებო, თქვენ გაცილებით მეტი გაქვთ, ვიდრე თქვენ ფიქრობთ... ნუ იქნებით ზარმაცები! თქვენ გაქვთ გაცილებით მეტი, ვიდრე მიწას შეუძლია შემოგთავაზოთ. თქვენ შეგიძლიათ შექმნათ ისეთი რამეები, რაც თქვენ აქამდე არ მოგცემიათ... ეს გაკვეთილია ყველასათვის.

უკრაინა, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ქვეყანაა სოფლის მეურნეობის სფეროში... თქვენ ძალიან ბევრ პროდუქტს აწვდით მსოფლიოს და სოფლის მეურნეობაზე უარი არ უნდა თქვათ... თქვენ შეგიძლიათ და ვალდებულიც ხართ ხალხის რესურსები და ტალანტი გააერთიანოთ... და ისე მოახდინოთ მოდერნიზება.

პოტენციალი ადამიანებს ძალიან დიდი აქვთ, მაგრამ ისინი ცოტათი ზარმაცები არიან. თუ რაიმეს მიღწევა გინდათ, უნდა იმუშაოთ... ციდან არაფერი არ ცვივა. ჩვენ ისრაელში ძალიან ბევრს ვმუშაობდით... რა არის ამაში ცუდი?! არ ვიცი... ადამიანები შვებულებაში გადიან... ეს დროის ფუჭი ხარჯვაა. მე 90-ს გადავცილდი და არასდროს ვყოფილვარ შვებულებაში. მე მეუბნებიან ,,შენ რა... არანორმალური ხარ? როგორღა ისვენებ?,, მე კი ვამჯობინებ ვიმუშაო და სამუშაოსგან სიხარულს ვღებულობ. პესიმისტებიც ნუ იქნებით! ესეც დროის ფუჭი ხარჯვაა... განსაკუთრებით მაშინ, როცა დროება იცვლება.
უნდა გაჰყვეთ მეცნიერებას. მეცნიერებას არა აქვს საზღვარი, შეზღუდვა და არა აქვს რეფლექსები. ნუ ცდილობთ გადაწყვიტოთ წარსულის პრობლემები... რადგან მე ვეჭვობ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია... წარსული საერთოდ არანაირ როლს არ თამაშობს... უბრალოდ შეისწავლეთ ის, რათა წარსულის შეცდომები არ გაიმეოროთ... წარსულში არც მომავალია და არც არანაირი იმედი.
ადამიანების უმეტესობა უპირატესობას ანიჭებს, რაღაცა ,,ახსოვდეთ,,... და არა რაღაც ,,წარმოიდგინონ,, – ეს ყველაზე დიდი შეცდომაა... რა გინდათ რომ გახსოვდეთ? ის შეცდომები, რომლებიც დაშვებული იქნა? ისტორიაზე დაყრდნობა არ შეიძლება. ისტორიკოსები მეფეებისა და ხელისუფალთა მაცნეები იყვნენ... ისინი იმას ამბობდნენ, რაც მათ აწყობდათ.
ადამიანებს ეშინიათ რაღაცის... მაგრამ მხოლოდ ღმერთმა იცის რა დაგვემართება.
ხანდახან მეკითხებიან: თუ უკან მოიხედავთ, როგორი იყო თქვენი ყველაზე დიდი შეცდომები?

მე ვპასუხობ: ჩვენ ვფიქრობდით, რომ ჩვენ დიდი ოცნებები გვქონდა... ახლა კი ვხვდებით, რომ ეს ოცნებები არც ისე დიდი ყოფილა... იოცნებეთ რაღაც ძალიან დიდზე! რაც უფრო დიდი იქნება თქვენი ოცნება, მით უფრო დიდს მიაღწევთ.

თქვენი ახალი თაობა ბრწყინვალეა... მაგრამ რაც მე მაბრაზებს მათში, არის ის, რომ მათ სძულთ პოლიტიკოსები. ისინი ამბობენ: „პოლიტიკა კორუმპირებულია... ის არაა ჩვენთვის“. მე ვპასუხობ: თქვენ გინდათ წესიერი პოლიტიკა? წადით პოლიტიკაში და თქვენ გააკეთეთ წესიერი პოლიტიკა!

ზოგჯერ ადამიანები მეკითხებიან, როგორ უნდა დავრჩეთ აქტიურები? ეს ძალიან ადვილია... დაიანგარიშეთ თქვენს ტვინში მიღწევები და ოცნებები... თუ თქვენი ოცნებები უფრო მეტია ვიდრე თქვენი მიღწევები... ეს ნიშნავს, რომ თქვენ ახალგაზრდა ხართ... თუ პირიქითაა – ნიშნავს, რომ მოხუცდით.
ეს ის გაკვეთილებია, რაც მე წარსულიდან გამომყვა...“. - განაცხადა შიმონ პერესმა.

ორი სვეტი შენიშვნებისთვის

ეს სტრატეგია უბიძგებს მოსწავლეებს, ისტორიული (და არა მარტო ისტორიული) ტექსტის, ლექციის ან კინოფილმის გარჩევის დროს ამოიცნონ და დააჯგუფონ მნიშვნელოვანი ინფორმაცია და ადექვატურად გამოეხმაურონ მოცემულ მასალაში დასმულ პრობლემებს. მოსწავლეების მიერ გაკეთებული ჩანაწერები დაეხმარება მათ როგორც დისკუსიაში მონაწილეობაში, ასევე წერითი დავალებების შესრულებაში.

ეს სტრატეგია დაეხმარება მასწავლებელს, უკეთ გაიგოს მოსწავლის ანალიტიკური აზროვნების სუსტი და ძლიერი მხარეები და უკეთ შეაფასოს მის მიერ მასალის გაგების უნარი.

პროცედურები:

ნაბიჯი პირველი - მომზადება:

ფურცელზე ან საკუთარ რვეულში მოსწავლეებმა უნდა დახაზონ ცხრილი. ეს ცხრილი გაყოფილი უნდა იყოს ორ სვეტად (ქვემოთ იხ. ცხრილის მაგალითი): მარცხენა სვეტში უნდა ჩაიწეროს „ძირითადი იდეები“, ხოლო მარჯვენაში - „გამოხმაურება (პასუხი) ამ ძირითად იდეებზე“.

ა.) „ძირითად იდეებს“ მიეკუთვნება ტექსტის ყველაზე მნიშვნელოვანი აზრები და ხშირ შემთხვევაში, მნიშვნელოვანი დეტალებიც. საქმის გასაიოლებლად და მოსწავლეების მიერ დავალების უკეთ გასაგებად, მასწავლებელმა, „კარნახის მიზნით“, შესაძლებელია დასვას რამდენიმე შეკითხვა:

1. რომელი იდეებია დასამახსოვრებლად ყველაზე მნიშვნელოვანი?
2. რომელ ახალ ტერმინებს ან აზრებს გამოყოფდით?

ბ.) „გამოხმაურება (პასუხი) ძირითად იდეებზე“ მოიცავს შეკითხვებს, ინტერპრეტაციასა და კავშირებს. საქმის გასაიოლებლად და მოსწავლეების მიერ დავალების უკეთ გასაგებად, მასწავლებელმა, „კარნახის მიზნით“, შესაძლებელია დასვას რამდენიმე შეკითხვა:

1. რა კითხვები გაგიჩინათ მოცემულმა ინფორმაციამ?
2. კიდევ რომელ იდეებს, მოვლენებს ან ფრაზებს გახსენებთ მოცემული ინფორმაცია?
3. თქვენი აზრით, რატომაა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი თქვენი სწავლისთვის/კვლევისთვის?
4. რამდენად მიესადაგება ეს ინფორმაცია თქვენს პირად ცხოვრებას (მოიყვანეთ მაგალითი/მაგალითები)?
5. შეაფასეთ ეს იდეები/ რას ფიქრობთ ამ იდეების შესახებ?

თუ მოსწავლეები პირველად ასრულებენ ამგვარ აქტივობას, აუცილებელია მასწავლებელმა განუმარტოს, თუ რა იგულისხმება „ძირითადი იდეებსა“ და „გამოხმაურებაში (პასუხი) ძირითად იდეებზე“.

ნაბიჯი მეორე - შენიშვნების გაკეთება:

სანამ მოსწავლეები უსმენენ ლექციას, უყურებენ ფილმს ან კითხულობენ ტექსტს, მათ უნდა ჩაწერონ ინფორმაცია ცხრილის ორივე სვეტში. თუ მოსწავლეებს უჭირთ საკუთარი მოსაზრებების ორივე სვეტში ერთდროულად ჩაწერა, მაშინ შესაძლებელია, ჯერ მხოლოდ მარჯვენა სვეტი - „ძირითადი იდეები“ - შეავსონ, ხოლო ფილმის ჩვენების, ლექციის ან ტექსტის კითხვის დასრულების შემდეგ, შეავსონ მარცხენა სვეტი - „გამოხმაურება (პასუხი) ძირითად იდეებზე“.

ნაბიჯი მესამე - გაცვლა:

მასწავლებელი სთხოვს მოსწავლეებს, გაუცვალონ საკუთარი ჩანაწერები მეწყვილეს (შესაძლებელია, გაცვლა მოხდეს ჯგუფის შიგნითაც) და გაუზიარონ საკუთარი მოსაზრებები ერთმანეთს.

ნაბიჯი მეოთხე - რეფლექსია და თვითშეფასება:

აქტივობის ბოლოს, ძალიან სასარგებლო იქნება მოსწავლეებისთვის რეფლექსია და თვითშეფასება. თუმცა, იმის გამო, რომ მათ ამგვარი მუშაობის გამოცდილება ნაკლებად აქვთ, მასწავლებელმა შესაძლებელია უკარნახოს მითითებები, რომლებიც ამ საქმეში წაადგებათ.

ეს ნაბიჯი საშუალებას მისცემს მოსწავლეებს, უკეთ გააცნობიერონ შესრულებული სამუშაოს მნიშვნელობა, ხოლო მასწავლებელს - უფრო თვალნათლივ დაინახოს მოსწავლეთა ძლიერი და სუსტი მხარეები.

გთავაზობთ ამ მითითებების ჩამონათვალს:

- ცნებები და აზრები ამოწერეთ აბრევიატურის მეშვეობით ან შეამოკლეთ;
- ხაზი გაუსვით ახალ სიტყვებს;
- მონიშნეთ (ხაზი გაუსვით) ახალი იდეები;
- დააკავშირეთ ხაზებით (ისრებით) იდეები და ფაქტები, რომლებიც ერთმანეთთანაა აზრობრივად დაკავშირებული;
- გამოიყენეთ შენიშვნები არა მხოლოდ სიტყვების, არამედ სიმბოლოებისა და ნახატების მეშვეობით;
- ძირითად იდეებთან დასვით ვარსკვლავები;
- დასვით კითხვის ნიშნები ყველაფერთან, რაც ვერ გაიგეთ.

<u>განსხვავებული ვარიანტები:</u>

სვეტების დასასათაურებლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვაგვარი სათაურები, მაგ.:

- მნიშვნელოვანი ციტატები - მნიშვნელოვანი ციტატების აზრი
- არგუმენტები - საწინააღმდეგო არგუმენტები

- იდეები - ფაქტები
- არგუმენტები - მტკიცებულებები

ცხრილის სხვადასხვა ვარიანტის მაგალითი:

I. ძირითადი იდეები II. მნიშვნელოვანი ციტატები III. არგუმენტები IV. იდეები V. არგუმენტები	1. გამოხმაურება (პასუხი) ძირითად იდეებზე 2. მნიშვნელოვანი ციტატების აზრი 3. საწინააღმდეგო არგუმენტები 4. ფაქტები 5. მტკიცებულებები
რომელი იდეებია ყველაზე მნიშვნელოვანი? რომელ ახალ ტერმინებს ან აზრებს გამოყოფდით?	რა კითხვები გაგიჩინათ მოცემულმა ინფორმაციამ? კიდევ რომელ იდეებს, მოვლენებს ან ფრაზებს გაგონებთ მოცემული ინფორმაცია? თქვენი აზრით, რატომაა ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი თქვენი სწავლისთვის/კვლევისთვის? რამდენად მიესადაგება ეს ინფორმაცია თქვენს პირად ცხოვრებას? მოიყვანეთ მაგალითი/მაგალითები.